395/41
02.02.15

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №11

30 იანვარი 2015 წელი

ქ. ბაღდათი

ააიპ ,, ბაღდათის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებისთვის" გამარტივებილი წესით შესყიდვაზე თანხმობის მიცემის თაობაზე

2015 წლის 6 იანვარს ააიპ ,,ბაღდათის სკოლამდელი დაწესებულებისათვის" მიერ კვების პროდუქტების შესყიდვის მიზნით ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, სახეობების გათვალისწინებით გამოცხადებულ იქნა 7 გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, მათგან შედგა ორი ტენდერი, მათგან ერთზე გამარჯვებული გამოვლენილია და მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება, ხოლო მეორე, პურის მოწოდებაზე გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება. 5 არშემდგარი ტენდერი სატენდერო განცხადების კორექტირების გათვალისწინებით გამოცხადდა განმეორებით და არცერთი არ შედგა. განმეორებითი შესყიდვა უნდა განხორციელდეს ისე გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით, რაც პროცედურების გათვალისწინებით მოითხოვს მინიმუმ ერთ თვეს. პრობლემის ოპერატიულად გადაჭრის მიზნით მიზნით ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის და ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 მე-3-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად ააიპ ,, ბაღდათის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება" ითხოვს, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულომ მისცეს თანხმობა კვების პროდუქტების შესყიდვა სახეობების (6 სახეობა) მიხედვით ერთ თვეში საჭირო რაოდენობის გათვალისწინებით განხილულ იქნას როგორც გადაუდებელი აუცილებლობა და განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის მეთოდით.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ააიპ ,, ბაღდათის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებას ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის # მე-3-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად შესყიდვა სახეობების (სახეობა) მიხედვით ერთ თვეში საჭირო რაოდენობის გათვალისწინებით განხილულ იქნას როგორც გადაუდებელი აუცილებლობა და განხორციელდეს გამარტივებულ შესყიდვის მეთოდით .

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს მ. ბურჯანაძეს.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მისამართზე: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11, მისი ოფიციალურად გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: გრიგოლ მაჩიტაძე